

“უცხოელი კოდეგები დადებითად აფასებენ გადაწყვეტილებას, რომ პრეზიდენტობის კანდიდატი არ გვეყოდება”

✘ საპარლამენტო უმრავლესობის დიდერი არჩილ თაღაკვაძეს განცხადებით, უცხოელი კოდეგები დადებითად აფასებენ „ქართული ოცნების“ გადაწყვეტილებას, რომ მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში პარტიას საპრეზიდენტო კანდიდატი არ ეყოლება.

„მათ ქონდათ დადებითი რეაქცია და თქვეს, ეს არის სამაგარი თო და დემოკრატიული ნაბიჯი, რომ მმართველი პარტია არჩევნებში აძრევს შესაძლებლობას სხვა პოლიტიკურ პარტიებსა და საინიციატივო ჯგუფებს, მიიღონ არჩევნებში მონაწილეობა და გაიმარჯვონ.“

თუ რომელი დამოუკიდებელი კანდიდატს დავუჭერთ მხარს, ამ ორი დღის განმავლობაში ვიმსჯელებთ და გადაწყვეტილებას გავასაჯაროებთ. პოლიტსაბჭოს სხდომაზე გვექნება მსჯელობა და გადაწყვეტილებას გავაცნობთ, მაგრამ ამ არჩევნებში კანდიდატურას რომ არ ვაყენებთ, ეს გადაწყვეტილება არ შეიცვლება. კანდიდატებს აქვთ შანსები, გაიმარჯვონ პირველ ტურში, თუმცა თუ იქნება მეორე ტური, ესეც დემოკრატიული პროცესისთვის არის ნორმალური“, – განაცხადა არჩილ თაღაკვაძემ.

ამასთან, პირველი არხის ინფორმაციით, „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს სხდომა სავარაუდოდ 9 სექტემბერს გაიმართება.